გურთიად
GÜRTİAD

*HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ*

*კვირის ეკონომიკური გამოცემა*

# *02 Aralık / დეკემბერი 2022*

| Nüfus / მოსახლეობა | GSYİH ($) / მშპ ($) | GSYH (büyüme) /მშპ | İşsizlik / უმუშევრობა | Enflasyon /ინფლაცია |
|---|---|---|---|---|
| 3 688.6 | 5023.2 | 10.5% | 20.6 % | 10.4 % |

**Başbakan "SANKO Holding" Onursal Başkanı İle Görüştü**

**პრემიერ-მინისტრი „სანკო ჰოლდინგის" საპატიო პრეზიდენტს შეხვდა**

Gürcistan Başbakanı, Sn. İrakli Garibashvili "SANKO Holding" Onursal Başkanı, Sn. Zeki Konukoğlu ile görüştü.



Taraflar Gürcistan'ın güçlü yatırım potansiyelini ve gelecek işbirliği perspektifleri ele aldılar.

Toplantıda SANKO Group'un hayata geçirmekle ilgilendiği yatırım projelerine değinildi.

SANKO Group'un merkez ofisi Türkiye'de bulunmaktadır, Holding'de 14 000 kişi çalışmakta. Şirket yenilenebilir enerji; inşaat; gayri menkul; tekstil ve başka sektörler dahil olmak üzere birkaç alanda faaliyet gösterir.

Hükümet idaresinde gerçekleştirilmiş görüşmeye T.C. Olağanüstü ve Tam Yetkili Büyükelçisi Sn. Ali Kaan Orbay ile "SANKO Holding"in Müdürü, Sn. Cemal Arık da katılmaktaydılar.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „სანკო ჰოლდინგის" საპატიო პრეზიდენტს, ზექი ქონუქოღლუს შეხვდა.

მხარეებმა საქართველოს ძლიერი საინვესტიციო პოტენციალი და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

საუბარი შეეხო იმ საინვესტიციო პროექტებს, რომლის განხორციელებითაც დაინტერესებულია SANKO Group-ი.

SANKO Group-ის სათავო ოფისი თურქეთში მდებარეობს, ჰოლდინგში 14 000 ადამიანია დასაქმებული. კომპანია რამდენიმე მიმართულებით ოპერირებს, მათ შორისაა განახლებადი ენერგია, მშენებლობა, უძრავი ქონება, ტექსტილი და სხვა სექტორები.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ალი ქაან ორბაი და „სანკო ჰოლდინგის" დირექტორი ჯემალ არიქი ესწრებოდნენ.

**Türkiye'ye Elektrik Enerjisi İhracatı %930.7 Oranında Arttı**
**თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი 930.7%-ით გაიზარდა**

Cari yılın ilk 10 ayın verilerine göre, Gürcistan-Türkiye ticaret cirosu 2 milyar ABD Doları aştı. Türkiye Gürcistan'ın en büyük ticari ortaklarının arasında %15.1'lik hissesi ile ilk sırada yer aldı.



Geçen 10 yılın verilerine göre, ülkeler arası ticaret hacmi 1.2-1.6 milyar ABD Doları civarındaydı.
Cari yıl bu rakam %36.5 oranında artıp 2.3 milyar ABD Doları olarak gerçekleşti.
İthalat, ticaretin %83.4'ünü oluşturmaktadır. Cari yıl farklı farklı malları satın almak için Gürcistan'dan Türkiye'ye 1.9 milyar ABD Doları gönderildi, bu rakam 10 senelik bir rekordur. Gürcistan'ın toplam ithalatında Türkiye'nin payı %17.9 olarak belirlendi.
En büyük ithal ürünleri arasında en fazla artış otomobiller kategorisinde belirlendi.

საქართველო-თურქეთის სავაჭრო ბრუნვამ მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. თურქეთმა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის 15.1%-იანი წილით პირველი ადგილი დაიკავა.
გასული 10 წლის მონაცემების მიხედვით, ქვეყნებს შორის ვაჭრობა 1.2-დან 1.6 მილიარდი დოლარის ფარგლებში მერყეობდა, წელს კი ეს რიცხვი 36.5%-ით გაიზარდა და 2.3 მლრდ დოლარი შეადგინა.
ვაჭრობაში 83.4% იმპორტს უკავია. მიმდინარე წელს სხვადასხვა საქონლის შესაძენად თურქეთში 1.9 მილიარდი დოლარი გავიდა, რაც ბოლო 10 წლის მანძილზე რეკორდული მაჩვენებელია. საქართველოს მთლიან იმპორტში თურქეთის წილი 17.9%-ით განისაზღვრა.
უმსხვილესი საიმპორტო საქონლიდან ყველაზე მეტი ზრდა მსუბუქი ავტომობილების კატეგორიაში განისაზღვრა.

**İlk 5 ithal edilen mallar: / Top-5 იმპორტირებული საქონელი:**

1. Otomobiller- 83.2 milyon ABD Doları (2 695 tane); Büyüme-%644.5
2. Ambalajlanmış ilaçlar-58 milyon ABD Doları; 835 ton; Büyüme-%60.5
3. Demirli metal konstrüksiyonları ve parçaları- 43.5 milyon ABD Doları; 20 550 ton; Büyüme-%37.8
4. Demirli metal boruları, tüpleri ve içi boş profilleri-38.8 milyon ABD Doları; 37 056 ton; Düşüş-%4.3
5. Petrol ve petrol ürünleri- 38 milyon ABD Doları; 30 708 ton; Büyüme-%94.4

Geri kalan toplam malı: 1.6 milyar ABD Doları

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

1. მსუბუქი ავტომობილები- 83.2 მლნ დოლარი (2 695); ზრდა- 644.5%
2. დაფასოებული სამკურნალო საშუალებები- 58 მლნ დოლარი; 835 ტონა; ზრდა-60.5%
3. შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები- 43.5 მლნ დოლარი; 20 550 ტონა; ზრდა- 37.8%
4. შავი ლითონების მილები, მილაკები და ღრუ პროფილები- 38.8 მლნ დოლარი; 37 056 ტონა; კლება- 4.3%
5. ნავთობი და ნავთობპროდუქტები- 38 მლნ დოლარი; 30 708 ტონა; ზრდა-94.4%

დანარჩენი საქონელი სულ: 1.6 მლრდ დოლარი.

İhracata gelince, cari yılın ilk 10 ayında Gürcistan mal ihracatı ile 379.1 milyon ABD Dolarılık bir geliri elde etti, bu geçen yılın göstergeye göre %45.5 olarak daha fazladır.

10 ay boyunca Gürcistan ihracattan en büyük geliri elektrik enerjisini Türkiye'ye satarak elde etti. Elektrik enerjisi geçen yıl ihraç ürünleri listesinde 7. sıradaydı, dolaysıyla geçen yıla kıyasla büyüme %930.7.
რაც შეეხება ექსპორტს, მიმდინარე წლის 10 თვეში საქართველომ საქონლის ექსპორტით 379.1 მლნ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც გასული წლის მაჩვენებელს 45.5%-ით აღემატება. თურქეთი 8.3%-იანი წილით უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორების ათეულში მე-5 ადგილს იკავებს.

10 თვის განმავლობაში საქართველომ ყველაზე დიდი შემოსავალი ექსპორტიდან თურქეთში ელექტროენერგიის გაყიდვით მიიღო. გასულ წელს კი ელექტროენერგია საექსპორტო საქონლის სიაში მეშვიდე ადგილზე იყო, შესაბამისად წინა წელთან შედარებით ზრდა 930.7%-ია.

**İlk 5 İhraç Ürünü: / Top-5 საექსპორტო საქონელი:**

1. Elektrik enerjisi- 79.5 milyon ABD Doları
2. Örme ürünler- 64.7 milyon ABD Doları
3. Demir alaşımları- 55.5 milyon ABD Doları
4. Erkek örme takım elbiseleri ve setleri- 37.2 milyon ABD Doları
5. Karbonik çelikten yarı işlenmiş ürünler- 17.4 milyon ABD Doları

Geri kalan toplam malı: 124.5 milyon ABD Doları

1. ელექტროენერგია- 79.5 მლნ დოლარი
2. ტრიკოტაჟის ნაწარმი- 64.7 მლნ დოლარი
3. ფეროშენადნობები- 55.5 მლნ დოლარი
4. მამაკაცის ტრიკოტაჟის კოსტუმები და კომპლექტები- 37.2 მლნ დოლარი
5. ნახშირბადიანი ფოლადისგან ნახევარფაბრიკატები-17.4 მლნ დოლარი

დანარჩენი საქონელი სულ: 124.5 მლნ დოლარი

**Başbakan Kripto Para Borsası-Binance'in Kurucusu ve CEO'su İle Görüştü**

**პრემიერი კრიპტოვალუტის ბირჟის - Binance-ის დამფუძნებელს და მთავარ აღმასრულებელ დირექტორს შეხვდა**

Gürcistan Başbakanı Sn. İrakli Gharibashvili dünyanın en büyük kripto para borsası-Binance'in kurucusu ve CEO'su Sn. Changpeng Zhao ile görüştü.

Görüşmede Gürcistan'ın çağdaş finans teknolojisi merkezi olarak konumlandırılabileceğini vurgulandı.

Sn. İrakli Gharibashvili Gürcistan Hükümetinin doğrudan yabanci yatırımların gerçekleştirmesine destek vermeye hazır olduğunu, ayrıca Gürcistan mevzuatının da kripto para borsası düzenlemeye hazır olduğunu söyledi.

Dünyanın en büyük kripto para borsası olan Binance'in İspanya; İtalya; Bahreyn ve Birleşik Arap Emirlikleri dahil olmak üzere, dünyanın birçok ülkede bağlı şirketleri vardır. Forbes'in verilerine göre, Sn. Changpeng Zhao'nun serveti 17.4 milyar ABD Doları oluşturmaktadır.



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მსოფლიოში უდიდესი კრიპტოვალუტის ბირჟის - Binance-ის დამფუძნებელს და მთავარ აღმასრულებელ დირექტორს ჩანგპენგ ჟაოს შეხვდა.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოს თანამედროვე ფინანსური ტექნოლოგიების ჰაბად პოზიციონირებას.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობა მზად არის, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კრიპტობირჟის რეგულირებისთვის მზად არის.

მსოფლიოში უდიდეს კრიპტოვალუტის ბირჟას-Binance-ს შვილობილი კომპანიები მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, მათ შორის: ესპანეთში, იტალიაში, ბაჰრეინსა და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში ჰყავს. ფორბსის მონაცემებით, ჩანგპენგ ჟაოს ქონება 17,4 მილიარდ დოლარს შეადგენს.

## Gürcistan 2023 Dünya Serbest Kayak Şampiyonası'nı Ağırlayacak
## საქართველო 2023 წლის სნოუბორდის მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს

Gürcistan 2023 Dünya Serbest Kayak Şampiyonası'na ev sahipliği yapacak. Ülke, 2023 yılına kadar Uluslararası Kayak Federasyonu (FIS) tarafından denetlenen en büyük altyapı projelerini yerine getirme sorumluluğunu aldı.



Bakuriani'de 2023 Dünya Şampiyonası projesi çerçevesinde Didveli ve Mitarbi alanlarında en kısa süre içinde 307 000 metreküp hacmi olan iki su deposu inşa edildi. Su depoları kar yapma sisteminin tam işlevselliği sağlamak için vazgeçilmezdir.

საქართველო 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანაა თავისუფალი სტილით სრიალში თხილამურითა და სნოუბორდით. 2023 წლამდე ქვეყანას ვალდებულება აქვს აღებული, განახორციელოს უმსხვილესი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელსაც ინსპექტირებას საერთაშორისო სათხილამურო ფედერაცია (FIS) უწევს.
ბაკურიანში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის პროექტის ფარგლებში, დიდველისა და მიტარბის არეალში, უმოკლეს დროში აშენდა წყლის ორი ხელოვნური რეზერვუარი, ჯამური მოცულობით 307 000 მ3, რომელიც აუცილებელია გათოვლიანების სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირებისთვის.

## Otomobil İhracatı %77 Oranında Arttı
## ავტოექსპორტი 77%-ით გაიზარდა

2022 yılın ilk 10 ayında Gürcistan'dan yurtdışına 661 milyon ABD Doları (64 000 Tane) değerinde otomobil ihraç edildi. Bu gösterge geçen yılınkine göre %77 olarak daha fazladır. 2021 yılın 10 ayında ise yurtdışına 373 milyon ABD Doları değerinde (51 000 Tane) otomobil satıldı.

2022 წლის 10 თვეში საქართველოდან უცხოეთში ექსპორტზე 661 მილიონი დოლარის ღირებულების (64 ათასი ერთეული) ავტომობილი გავიდა. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 77%-ით მეტია. 2021 წლის 10 თვეში კი უცხოეთში 373 მლნ აშშ დოლარის (51 ათასი ერთეული) მსუბუქი ავტომობილი გაიყიდა.

**2022 yılında Gürcistan'dan en çok otomobil ithal eden ilk 10 ülke listesi:**
**ტოპ- 10 ქვეყანა, სადაც საქართველოდან 2022 წელს ყველაზე მეტი ავტომობილი გავიდა:**

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası

- Azerbaycan /აზერბაიჯანი - 245.1 milyon ABD Doları (25 096 otomobil) / 245.1 მლნ აშშ დოლარი (25 096 ავტომობილი)
- Ukrayna / უკრაინა - 117.4 milyon ABD Doları (12 446 otomobil) / 117.4 მლნ დოლარი (12 446 ავტომობილი)
- Ermenistan / სომხეთი - 84.2 milyon ABD Doları (8 293 otomobil) / - 84.2 მლნ აშშ დოლარი (8 293 ავტომობილი)
- Rusya / რუსეთი - 55.3 milyon ABD Doları (3 841 otomobil) / 55.3 მლნ აშშ დოლარი (3 841 ავტომობილი)
- Kazakistan / ყაზახეთი - 54.9 milyon ABD Doları (5 417 otomobil) / 54.9 მლნ აშშ დოლარი (5 417 ავტომობილი)
- Kırgızistan / ყირგიზეთი - 38.6 milyon ABD Doları (5 742 otomobil) / 38.6 მლნ აშშ დოლარი (5 742 ავტომობილი)
- Belçika / ბელგია - 22.8 milyon ABD Doları (472 otomobil) / 22.8 მლნ აშშ დოლარი (472 ავტომობილი)
- Tacikistan / ტაჯიკეთი- 10.3 milyon ABD Doları (1 789 otomobil) / 10.3 მლნ აშშ დოლარი (1 789 ავტომობილი)
- Birleşik Arap Devletleri / არაბთა გაერთიანებული საამიროები - 9.6 milyon ABD Doları (131 otomobil) / 9.6 მლნ აშშ დოლარი (131 ავტომობილი)
- Belarus / ბელარუსი - 5.3 milyon ABD Doları (156 otomobil) / 5.3 მლნ აშშ დოლარი (156 ავტომობილი)



## Gürcistan'da Enflasyon
## ინფლაცია საქართველოში

Kasım 2022'de Gürcistan'da aylık enflasyon oranı %0.5, yıllık enflasyon oranı ise %10.4 olarak teşkil etmiştir.
2022 წლის ნოემბერში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 0.5 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 10.4 პროცენტი შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel nedeni aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 16.8%
- Sebze / ბოსტნეული - 26.0%
- Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 23.8%
- Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 18.9%
- Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 18.3%
- Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 15.7%
- Balık / თევზეული - 13.6%
- Yağlar / ზეთი და ცხიმი - 10.1
- Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 9.1%
- Meyveler / ხილი - 6.9%




## Gürcistan'dan Fındık İhracatı %14 Oranında Düştü
## საქართველოდან თხილის ექსპორტი 14%-ით შემცირდა






Okullarda Bilgisayar Laboratuvarları Kurmak İçin 30 Milyon Lariden Daha Fazlası Tahsis Edilecektir

სკოლებში კომპიუტერული ლაბორატორიების მოსაწყობად 30 მილიონ ლარზე მეტი გამოიყოფა.




2023 Yılın 1 Temmuz'dan İtibaren Sosyal Açıdan Savunmasız Çocuklara Aylık Yardım Olarak 200 Lari Verilecek

2023 წლის 1 ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიური დახმარების სახით 200 ლარს მიიღებენ



1 Ocaktan İtibaren Doğum İzni Ücreti Özel Sektöründe Çalışanlar İçin De 1000 Lari'den 2000 Lari'ye Çıkarılacak

1-ელი იანვრიდან, დეკრეტული შვებულების ანაზღაურება კერძო სექტორში დასაქმებულების-თვისაც 1000 ლარიდან 2000 ლარამდე გაიზრდება.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC Waikiki იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING Ziraat Bankası

## Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.7112 TRY/GEL – 0.1455 EUR/GEL – 2.8278 GBP/GEL – 3.2911

**USD/GEL**

25 – 02 Aralık 2022




**USD/TR**

25 – 02 Aralık 2022




**TRY/GEL**

25 – 02 Aralık 2022




**BTC – 16. 960. 94**

25 – 02 Aralık 2022




ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING · Ziraat Bankası